თბილისი, 1 ივლისი 2025 წელი

მერქნიანი მცენარეების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა

საპროექტო ნაკვეთის მისამართი:	თბილისი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა, N23
საკადასტრო კოდი:	01.19.18.007.001;
ფართობი:	3170.00 კვ.მ.
დანიშნულება:	არასასოფლო-სამეურნეო;
საკუთრების ტიპი:	საკუთრება;
საექსპერტო დასკვნის გაცემის საფუძველი:	კომერციული დანიშნულების მქონე, შენობა-ნაგებობის პროექტირება;
აღრიცხვის მეთოდი:	ძირობრივი აღრიცხვის მეთოდი.

მიმდინარე წლის 27 ივნისს აღნიშნულ ნაკვეთზე ჩატარდა ძირზე დმგარი მერქნიანი მცენარეების ხარისხობრივი შეფასება. მოვახდინეთ მათი დანომვრა, ფოტოგრაფირება და ტოპოგრაფიულ გეგმაზე შესაბამისი ნუმერაციით დატანა.

ძირობრივი აღრიცხვის მეთოდით საპროექტო ტერიტორიაზე სულ აღირიცხა 6 ძირი მერქნიანი მცენარე, საიდანაც: 3 ძირი არის ხე, 1 ძირი ბუჩქი და 2 ძირი ლიანა.
ყველა მათგანი თან დართულ ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილია და დანომრილია ინდივიდუალურად.

აღრიცხული ხემცენარეების სახეობრივი ბალანსი ასე გამოიყურება:
1 ძირი არის ჭერამი, 1 ძირი თუთა, 1 ძირი ლეღვი, 2 ძირი ვაზი და 1 ძირი მაყვალი.
მათი ტაქსაციური პარამეტრები და ზუსტი ლათინური სახელწოდებები ასახულია ხარისხობრივი შეფასების აღრიცხვის ცხრილში/უწყისში, ხოლო ტოპოგრაფიულ გეგმაზე მათი ლოკაციები დატანილია ცხრილის ნუმერაციის შესაბამისად.

ხე-მცენარეების მოჭრა/გადარგვა.
სამომავლოდ, პროექტირებისას იგეგმება სავარაუდოდ ყველა აღრიცხული ხემცენარის მოჭრა.

დოკუმენტს დანართების სახით თან ერთვის:

- ტოპოგრაფიული გეგმის სკანირებული ასლი ხემცენარეების აღრიცხვის შესაბამისი ნუმერაციის დატანით;
- აღრიცხული მერქნიანი მცენარეების დანომრილი ფოტოები აღრიცხვის შესაბამისი ნუმერაციით.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მერქნიანი მცენარეების ხარისხობრივი შეფასების, აღრიცხვის უწყისი/ცხრილი

N	სახეობა	D მიწის ზედ.-დან (სმ)		სიმაღლე (H) (მ)	ძირის ამონაყრის რაოდენობა	სასიცოცხლო მდგომარეობა	სასიცოცხლო ფორმა	შენიშვნა
		(D) 0,1	(D) 1,3			1–ჯანსაღი; 2–ხმობადი; 3–ხმელი.		
1	ჭერამი(Armeniaca vulgaris)	2	-	1,6	2	1 (ავარიული*)	ხე	**ავარიული*** – გაზრდილია მოასფალტებულ ზედაპირზე, რკინის ნაგებობის/კონსტრუქციის კედლის ძირში, ასიმეტრიული, დიდი დახრილობის, დაგრეხილი ღეროთი არ ექვემდებარება გადარგვას.
2	ვაზი(Vitis)	1	-	2	1	1	ლიანა	ექვემდებარება გადარგვას გახარების 70%-80%-იანი ალბათობით.
3	ვაზი(Vitis)	4	-	4	1	3	ლიანა	არ ექვემდებარება გადარგვას.
4	მაყვალი(Rubus)	1	-	4	20	1	ბუჩქი	ექვემდებარება გადარგვას გახარების 70%-80%-იანი ალბათობით.
5	ლეღვი(Ficus carica)	3	-	2	12	1 (ავარიული*)	ხე	**ავარიული*** – გაზრდილია ამონაყრების სახით, ბეტონის მასიური ღობის ძირში, გადანაჭერ ძირკვზე, ასიმეტრიულ ღეროებად. არ ექვემდებარება გადარგვას.
6	თეთრი თუთა(Morus alba)	3	-	2,2	6	1 (ავარიული*)	ხე	**ავარიული*** – გაზრდილია ამონაყრების სახით, ბეტონის მასიური ღობის ძირში, გადანაჭერ ძირკვზე, ასიმეტრიულ ღეროებად. არ ექვემდებარება გადარგვას.

ქეთევან ტიგიშვილი

(ბიოლოგი)

(ხელმოწერა)

ტოპოგრაფიული გეგმა



ქ.თბილისი, ალექსანდრე თვალჭრელიძის ქუჩა №23
შპს "ზენი"-ის სახელზე რეგისტრირებული 3170
კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის
ტოპოგრაფიული გეგმა




panoline
panoline
panoline






6
5